# შოლტი

## №22



კულაკი (მემარჯვენეს)—მე და შენ აი ესე ვართ, აი!

1930
12705
Библиотека-Музей

# შოლტიანის ბრძანება № 2.

შოლტიანმა
გადავწყვიტე:
დაფი დავკრა
ერთხელ კიდევ.
შოლტკორებო,
აბა ფიცხლად
საქმეს ცეცხლი
წაუკიდეთ!
შემოდგომის
კამპანია,
დრო ხვნისა და
შემდეგ თესვის;
ზოგიერთ ჩვენს მოლვაწეებს
სოფლად ხშირად
ასე ესმის:
—შემოდგომით
რა ხჯობია
ცივ დედლებს და
მერე მაჭარს!
მე რას მიშლის—
დავცხო კულაკს,
მე რას მერჩის—
დავცხო ვაჭარს?!
ვისაც უნდა
პური თესოს,
ვისაც უნდა
ფანტოს ფლავი...
თავისთავად
წავა საქმე,
ნეტავ რაა
თავსაკლავი?!
ან თუ პურის
დამზადება
იგვიანებს
სადმე სოფლად,—
სჩანს სხვაგანაც
ხდება ასე
და არა ვართ
მარტო — ობლად...
სჩანს ხელს გვიშლის
მიზეზები
რადგანაც და
მიტომ, რომა—
თუ ოდესმე
ბრალს დაგვდებენ,
შევძლოთ თავის
გამოძრომა...
და მრავალ სხვას
ასე ჩმახავს.
არ იწუხებს
ტვინის დავთრებს
დღეს იმაზე
ფიქრობს მარტო
რომელ ჭურთან
ხვალე დათვრეს.
არც სახსრების
შეგროვებას,
არც ყურს უგდებს
გადასახადს!
კიდევ მეტი—
კოლექტივებს
ერიდება, როგორც
სახადს...
ზოგს პარტიის
ბილეთიც აქვს
ყოყოჩობს და
ბუზებს ურტყამს.
წელს უმშვენებს
ორი ფიშტო,
ორი ერთად,
შემოურტყამს.
არც თვით შედის
კოლექტივში.
სხვა რომ შედის—
მასაც სძრახავს...
ის პარტბილეთს
თავის ცხვირით
მორჩა,
ველარ დაინახავს!
შოლტკორებო,
რაღა გითხრათ
თქვენ თვით იხმენ
ბოროტ ენებს.
შეხედავთ და
მყისვე იცნობთ
ყველა ჯურის
მემარჯვენეს...
აბა ერთი
მაგრათ მოსცხეთ.
არ დაინდოთ
თქვენებურად,
რომ ყოველი
დარტყმა შოლტის,
იქცეს ხნულად,
იქცეს პურად.
მოსცხეთ ყველა
ბიუროკრატს,
ვინც აბრკოლებს
ხვნას და თესვას;
ვინც სოფელში
პურს ამზადებს
ეს ძახილი
შემოესმას.
პარტუჯრედებს,
სოფლის საბჭოს,
კოლექტივს, და
გლეხკომს, ეპოს.
ვინაც დღემდე
ტკბილად სთვლემდა
კმარა, ძილი
უნდა ეყოს!
დასცხეთ შოლტი
თქვენებურად
შოლტკორებო,
გიხმობთ კიდევ...
ყოველ კუთხეს
ყოველ უბანს,
შრომის ცეცხლი
წაუკიდეთ!

შოლტიანი.

## წერილი სატრფოს

გენაცვალე, ჩემო ლამაზო, მაგ ახალდაბის ელექტრონივით ჩაქუტულ თვალებში. უშენობით არა მაქვს მოსვენება, როგორც ახალდაბის სატყეოს თანამშრომელ ქურდაძეს ღვინის სმით არ აქვს მოსვენება.

როდესაც გიხილავ ისე ვლელდები მშვენიერო, როგორც ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე ნიკალა ღელდება, მასზე წერილის გაზეთში მოთავსების შემდეგ, და ისე გდევ ხოლმე უკან, როგორც ნიკო დევნის გლეხკორებს.

შენი პირიმე არ დამლუპო და სხვას არ ჩაუვარდე ხელში, ისე, როგორც ახალდაბის ფოსტიდან გაგზავნილი (რედაქციაში) წერილები უვარდება ხოლმე გაზეთებში გაწერილ გმირებს.

არც ისე მიღალატო მშვენიერო როგორც აქაური კომკავშირელები ღალატობენ საერთო საქმეს და გაურბიან მას. ეხლა კი მშვიდობით, თუ რამ დაგჭირდეს ახალდაბის სადგურში აღარ მიდიპეშო, რადგანაც იქ ყიფიანი და მახარაძე (ორივე ძველი ნიკოლოზის მოხელე) განუწყვეტლივ ნარდს თამაშობენ და ხელს შეგიშლით.

შოლტკორი.

## ქურდობაზე დაიჭირეს



— შე წუწკო, ქურდბაცაცავ, ეხლავე გეტყობა, რომ კოოპერატივის ნოქარი გამოხვალ...

## სიზმრის ახსნა

### ველისციხე

1. აგრონომი კობახიძე ნახო სიზმარში — ვენახი გაგიფუჭდება.

2. თუ სიზმარში ექიმი ქათამაძე ნახო — ახლო ნათესავი გაგიხდება ავად.

3. სარქის მიტიჩაშვილი ნახო სიზმარში — კოოპერატივში ბევრი ფართალი მოვა.

4. ველისციხის სას. საბჭოს თავმჯდომარე მიშა ჩხეიძე ნახო სიზმარში — ველისციხეში ათი წლის შემდეგ ახალი თეატრი აშენდება.

5. სიზმარში თუ საშა ოგანოვი ნახე — კარგ კინო-სურათს ნახავ.

6. თუ სიზმარში თელავი ნახე — ცუდია! ველისციხის ყოფილი რეჟისორი შეგეხეჩება სადმე.

7. თუ სიზმარში შაქრო ფირადოვი ნახეთ — იცოდეთ, რომ ბალი დაკეტილია.

8. სიზმარში ბაგრატ ყორღანოვი ნახო — შენ ძაღლს უფრთხილდი, სიკვდილი მოელის.

9. თუ სიზმარში საშა კალანთაროვი ნახეთ — კარგია, კლუბის საქმიანობა ფეხზე დადგება.

10. თუ თაგორ ისაკოვს ნახავთ სიზმარში — იფრთხილეთ, ცუდი არაფერი ჩაიდინოთ, თორემ შოლტის კუდზე გამოგაბამთ.

ლენტო.

## წერილი შოლტს

(კასპის ცემენტის ქარხანა)

ორ ოქტომბერს, როცა ღამემ
მოიხვია ბინდი შავათ,—
ინჟინერი გრუნი დათვრა
და ნერვები აეშალა!..

—

მას თან ახლდენ ტეხნიკები:
ინგებური, ტაბარკალი,—
და ღვინისგან გაჟღენთილნი
ორად ხრიდენ რკინებს მკლავით!

—

შუაღამის ორ საათზე
მოისურვეს თურმე ასე:
შეიარეს ქარხანაში,
ნახეს კოდი წყალით სავსე...

—

წყალ საქაჩში შეუხვიეს
და მიაწვნენ მძლავრათ კარებს,—
„შოლტიანო“ მუშები ხომ
შიშისაგან აკანკალეს!..

—

ღრიალებდა გრუნი შმაგათ
აადინეს მიწას ბური,—
ტაბარკალი ხმას უწევდა,
ბანს აძლევდა ინგებური!..

—

სამეულმა ბრძანა მტკიცედ
და მიმართა მუშებს ხრიკით,—
— „ჩქარა წადით, გააღვიძეთ,
მეე-სადგურის მეხანიკი!

—

მე უჩვენებ იმას სეირს
ეხლა ის რომ აქ არ არის!“—
ღვინისაგან შეხურებულთ
შუბლში სცემდა ცივი ქარი!..

—

მუშებმა ძლივ გაუბედეს:
— დღეს მორიგე ის არ გახლავთ!
—არ წახვალთ და ეს იცოდეთ
ცრემლიანებს მალე გნახავთ!..

—

არ წავიდა მეხანიკი
რადგან მიხვდა იმათ ქცევას,—
და ამიტომ გრუნი ბრაზით
ღონიერ მკლავს კედელს სცემ-
და!..

—

შემდეგ მუშებს აგინებდა,
მკლავს იქნევდა ირგვლივ თანა,-
ველურივით ღრიალებდა,
დოხბლებს ჰყრიდა პირიდანა!...

—

— შოლტიანო შუ თუ ასეთ
მოქმედების შემდეგ კიდევ,
ამ ნაღვინევ სამეულსა
შენს მათრახებს არ აჰკიდებ?!..

ცემენტი.

## ჩვენი კლუბი

(დარჩელი)

ჩვენს სოფელში განიზრახეს,
რომ აშენდეს კლუბი,
სიხარულით გლეხობამა
ცას ესროლა ქუდი.
მართლაც აბა ვინ იქნება—
სულელი და ფლიდი,—
გულით რომ არ გაუხარდეს,
საქმე ეგზომ დიდი..
და ის იყო, ორი წლის წინ
იწყეს გარჯა-შრომა.
ორი მეტრი აშენდა და
შეწყდა მშენებლობა...
დრო მიდის საქმე რჩება
აგრე უთავბოლო...
ნეტავი თუ დამთავრდება
ამ ხუთწლედის ბოლოს?!

ვარმე.

## სალოცავად...

ქუთაისის მუზეუმში ხელმძღვანელობიდან
დაწყებული—ტეხნიკურ მომუშავეებამდე,
ყველა ყოფილი მღვდლები და დიაკვნებია...

კორესპონდენციიდან.




—სა მიხვალ ჩემო სოფიო, მა მუზეუმში რა ხელი გაქვს?

— ჩემო მარიკა, ორი-სამი წელია ხუცესი ვერსად ვნახე, მინდა ვეზიარო და აქანე მომასწავლეს!..

## კითხვა-პასუხი

1.

— ხიქთაურაში ხრი
გაქექილი ვაჭარი..
გლეხებს მუქთად წაართვა,
ბევრგან, ღვინო, მაჭარი.
— ეგ ხომ ცხადაძე არი,
ცნობილი ამ მხარეში;
ჯერ ვერვინ აუკრძალა
ყაჩაღური თარეში!..

2.

— ფოსტა-ტელეგრაფს „თა-
ვობს“
(ჩუმად მითხრეს ყურშია...)
შუა დღეზე ძლივს დადის
იგი სამსახურშია!..
— ეგ ხომ თერჯოლაშია
(ჟიჟიანი გვარადა...)
ასეთი „მომუშავე“—
გამოდგება არადა!..

3.

— საშემოდგომო თესვა
აქ მიდის კუს ნაბიჯით.
და გულშემატკივარი
არავინა მყავს ბიჭო!
— ტრაქტორს არ მყავს პატ-
რონი?

არვინ იცის ვისაა!
მანქანები ოხრდება—
ეგ ხომ საცხენისია?!

4.

— ერთნაირად აწერენ,
გადასახადს ყველასა,
კულაკისგან არ გარჩევენ,
ტყუილად სთხოვ შეღავათა:
— ვიცი, იქ ხომ ბუნებას,
ზორით უმღერს რიონი...
(ჩვენში კი დარჩელ... არის
ის ჩხარის რაიონი!..)

5.

— თუმც რა საკვირველია,
თუ ხმას არვინ არ იღებს?
სხვა მხარეც ბევრი არის —
სადაც ბეგრენ ღარიბებს!..
— ეგ ყველაზე ძალიან
მატაანში იციან...
გამკითხავი არვინ მყავს—
ნეტა აქ ვინ „იღწვიან?!“

დაკაკ.

## სურათი

ს. საზანოს კოოპერატივში

**გლეხი.** (ნოქარს). ამხანაგო, სამი წელია თქვენი წევრი ვარ, არცროდის არაფერი მრგებია. შენ გენაცვალე, ერთი მეტრი ჩითი მომეცი.

**ზარნაძე.** ჩითი, არ გვაქვს ამხანაგო, თუ გნებავთ ადეკალონია!..

**გლეხი.** ეს რაცხა სასუნებელი რომაა იგი?! არა, ძამია, შაქარი მაინც გექნება, ბავში მყავს ავადმყოფი!

**ზარნაძე.** არც შაქარია! თუ გნებავთ პუდრს მოგართმევთ?

**გლეხი.** (გაბრაზებული მიდის), ეს უსათუოდ გიჟია!.. რას მომჩემებია ამ ადეკალონ-პუდრებით!.. (ამ დროს შემოდის კოპწიად მორთული ლამაზი ქალიშვილი).

**ქალიშვილი.** დუშკა, სამი მეტრი მიტკალი... თუ შეიძლება...

**ზარნაძე.** ჩემი თავი შემოგევლოს რავა არ შეიძლება.. ექვსი ინებე ჩემო სულის კლიტევ... (აძლევს შეხვეულ მიტკალს) კიდევ ხომ არაფერს ინებებ?!

**ქალიშვილი.** არაფერს დუშკა... (უგზავნის კოცნას) შენ კი გენაცვალე მაგ კოოპერატივში!!! (გადის პრანჭვით).

**გლეხი ქალი** (შემოდის დალონებული). საპონი გექნება, ნამეტანი მჭირდება, უარს ნუ მეტყვი შენ გენაცვალე!..

**ზარნაძე.** საპონი რომ იყოს — აგერ გასარეცხი ხალათი არ მეცმეოდა?... თუ გნებავთ აგერ პამიდას მოგართმევთ!

**გლეხი ქალი** (მიდის ბუტბუტით) ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავ უარს ხომ არ მეტყოდა... (შემოდის ვაჭარი ვარდოსანიძე).

**ზარნაძე.** ჩემს ძმას, ჩემს ეზოკის სალამი!.. როგორ გიკითხოთ ჩემო ბატონო!..

**ვარდოსანიძე.** სალამი ჩემს ძმას, რაფერაა შეპირებული შაქრის საქმე?..

**ზარნაძე.** კი შენი ჭირიმე. აგერ 4 კილო შაქარი და 5 კილო საპონი... იმედია მოგეწონება...

**ვარდოსანიძე.** იმე, შე კაცო... მაგას რა თქმა უნდა... (ართმევს შეხვეულებს და კოოპერატივიდან მიდის სიმღერით).

შენ იცოცხლე....
მეც მაცოცხლეეე...
(ფარდა ეშვება).

ტიკო-ტიკო.

## სამკითხველო

(სოფ. წევა)

5 წელი შემისრულდა,
კადმიხადეს პარაკლისი,
არ მეღირსა მე მოწყობა
დასაცინი დავრჩი სხვისი.
კომკავშირმა ვერ მომაწყო,
ლაპარაკი ვნახე მისი.
ნეტავი რა დავაშავე,
საქმით არ გამხადეს ღირსი.
თუმცა ცოტათი შემაკეთეს,
მაგრამ ისიც ისევ ლპება,
კაი ისეთ შეკეთებას,
თუ შიგ გლეხი ვერ დადგება!

ალექსა.




## გადატრიალება

ს. ნოსირში უეცარი და საოცარი ამბავი დატრიალდა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მთელ სოფელს ღრმა ძილით ეძინა, ქოხ-სამკითხველოში თავებმა მოახდინეს გადატრიალება. მათ სამკითხველოს საბჭო გაუქმებულად გამოაცხადეს. ქოხ - სამკითხველოს გამგე კი, როგორც ერთგული მფარველი, თავის წინამძღოლად აირჩიეს.

სამკითხველოს მიდამოებში საომარი მდგომარეობაა. ვირთხები, სოფლის საბჭოზე შეტევისათვის ემზადებიან.

შარი.

## ვინ ვის?

გახლავართ ბესო მუსელიანი (ვცხოვრობ სოფელ ლენტეხში). ჩემთვის ვარ და საკუთარ კანონებს ვემორჩილები. რას მიქვია პროფკავშირი, მიწა - ტყის კომიტეტი, სასოფლო საბჭო!

მოჯამაგირესაც ძველებურად ვქირაობ და რაკი ფულს ვაძლევ, ცხადია, სამჯერ უნდა გავფცქვნა კიდეც...

რაო? მიჩივლებს?!

სანდრო გუგავა ვამუშავე კიდეც და გროშიც არ მივეცი, ისთე ვუპანღურე! ბიჭია, კრინტი დაძრას სადმე!

რაი? პურ-მარილიო?! მერე რაა, კაცი ან ხმალს აჭრევინებს, ან პურ-მარილს. აბა შემედავოს ის რაცხა მიწა-ტყის კავშირია... ვაჩვენებ თამაშასა და სეირს!

ტრახ.

## ცდები

წელს თბილისის მუშკოოპის დავალებით, ერწო-თიანეთის რაიონში დავთესე 160 ჰექტარი კარტოფილი. ჩემი ანგარიშით თვითეულ ჰექტარზე მოსავალი უნდა მოსულიყო 80 ფუთამდე, მაგრამ მე მივაგენ ამ მოსავლის ერთი სამად გადიდების საშუალებას:

მე გადავწყვიტე ამ ზამთარს კარტოფილი სულ არ ამომეთხარო, დავტოვე მიწაში, ხოლო ადრე გაზაფხულამდე კარტოფილი დამსხვილდება ერთი სამად ისე, რომ თითო ცალის წონა მიაღწევს საშუალოდ ერთ კილომდე. ამრიგად 1931 წლის თებერვალში, ვფიქრობ, მუშკოოპს ჩავაბარებ 400 ათას ფუთამდე კარტოფილს.

სასურველია ჩემი იდეები სხვა რაიონებშიაც გაიმეორონ.

აგრონომი მამაკაძე.

## კაი იმედია

— ჩვენი სოფელი ბერძენაული, ჩემო ძმაო, უბედო ვარსკვლავზეა დაბადებული და ისაა!

— რაზე ამბობ?

— ბიჭოს, როგორ თუ რაზე?! რამდენჯერ გაზეთშიც კი ჩააგდეს სკოლის შენობა არა აქვსო, მოწაფეებს ნესტიან შენობაში უხდებათ მეცადინეობა, რადგან მავიდები არა აქვთ— იატაკზე ყრიანო, არა აქვს არავითარი მოწყობილება, და ყურსაც არავინ იბერტყსო... შეშაზე და ღუმელზე, ხომ ლაპარაკიც მეტია... ე საყოველთაო სავალდებულო

— ერთი მდიდარი კაცი თავის შვილებს ხამთარში ფეხშიშველას ატარებდა და როცა შეეკითხენ—რადა შვრები ეგრეო, მან უპასუხა: რა ვიცი, დღეს მდიდარი ვარ— ხვალ შეიძლება მათხოვარი გავხდე და ჩემი შვილები აქედანვე შეეჩვიონ გაჭირვებასო...

— ეჰ, რა დროს ზღაპრებია! ან რაზე ამბობ?

— რაზე, და... ეს ჩვენი მოწაფე ბავშვებიც დაე შეეჩვიონ აქედანვე ცივს, ნესტიან ოთახში სწავლას, რადგან შეიძლება ის შენობაც ხვალ ერთიან ჩამოენგრეთ თავზე და მაროლაც გარედ თოვლში მოუხდეთ მეცადინეობა...

— კაი იმედია?! ჰმ!

იქაური.

## უახალები

შოლტიანო, ქვალონი
ალბად გაგიგონია,
ამ სოფელში ბრძანდება
ბესარიონ შონია.
„ქმირი“ რკინის მკვნეტელი,
გლეხკორების მდევნელი,
საზიზღარი, ყოყოჩა,
ალმატების მძებნელი.
მას მუდამ მხარს უმშვენებს
გვასალია არჩილი,—
უარესი დიდგულა,
ბოროტება ახდილი
ნადირობა გაუტკბათ
კორესპონდენტებზედა,
ფიშტოები, ხანჯლები,
შემოირტყეს წელზედა.
და გალახეს გლეხკორი,
მართლა ნადირ-მხეცებმა
ნუ თუ მათ მილიცია—
თავზე არ დაეცემა?!

კოლო.

## სცენა

პლატონ. სათო, მართა?

მართა. აგერა სოფლის საბჭოში, პაწია საქმე მაქვს, და...

პლატონ. მერე და რაიმე საპატივცემლო მოგაქვს თან?

მართა. ეგ რაღა, ვერ მიხვდი!..

პლატონ. თავმჯდომარე სანდრო სვანიძე, მდივანი კ. შალამბერიძე არ იცი ისთე არ მოილაპნ შენდა, თუ საშადიერო პატივცემას არ ეცემა?!

მართა. მე რაი ჭირი მაქვს და სნება, ბოშო, რომ მათ რაი უნდა ვცე?! აბა აქ კონპარტიაში მაინც შევიდე, იქნება რამდია მოსულა ჩვენზე, ღარიბებზე და...

პლატონ. მოსვლით კია მოსული, მართაია, განა ყველა ღარიბებისთვის არ მოდის? — მარა ნოქარ ჭოლოკავას რაი გადარჩება?— ან სულ თვითონ მაქვს საბჭოში, რაც კი აკია, ან ნაცნობ-მეგობრებს აძლევს ჩუმათ, მაგალ სვანიძის ადონი, რაგარც რომ უნდა ისთე აკახარებენ საქმეებს...

დიალ.

## გამოწვევა

სოფ. სიბილის (სამტრედია) კოლექტივის თავმჯდომარე **მათე შენგელია** თავს ვაცხადებ დამკვრელად და შეჯიბრებაში ვიწვევ ლაგოდეხის რაიონის სოფ. ვერხვის ხევის კოლექტივის თავ-რეს ამხ. **ყოჩიევს.**

ვაყენებ შემდეგ პირობას: თავმჯდომარეთ ყოფნის უკანასკნელ საათამდე არ გამოერიოს ისეთი დღე, რომ მე კოლექტივის საქმეს ვაკეთებდე, 2. არ გავაცდინო არც ერთი საათი და მუდამ ჟამს ვისეირნო კოლექტივის ცხენით, 3. რაც ჩემს განკარგულებაში სასილოსო ორმოებია, მომავალ წლამდე წყლით სავსე შევინახო და 4. ჩემი ქონება, რომელიც კოლექტივში მოსაჩვენებლად შევიტანე ისევ უკან დავიბრუნო, რომ უფრო უკეთესად შევძლო არტელის დაშლა.

პატივისცემით მ. შენგელია.

## განცხადება

ვმსახურობ სტალინისის რაიაღმასკომში კულტსექტორის გამგედ. ჩემი დანიშნულება იმდენად არ მაინტერესებს, რამდენადაც სურამში საღამოობით ძმა-ბიჭებთან ქეიფი და დროს ტარება.

მასწავლებელთა დანიშვნა-გადაყვანას ამ წელში ვერ დავასრულებ, რადგან ერთი მასწავლებლის დანიშვნა ხუთჯერ მიხდება; ამიტომ მასწავლებელთა კონფერენციის მოწვევა გადადებული მაქვს 1933 წლის 1 აპრილისთვის

— ქეიფსალმით. პეტრე ნადირაძე.



— რას შვრები კაცო, რაზე კლავ ქათამს?

— როგორ თუ რას ვშვრები, მთელ დღეს უკან შევცქერი, არ იქნა და — არ დადო კვერცხი.

— მერე და რა გაჩქარებს შე ოჯახაშენებულო.

— რა და, ავადმყოფი მიკვდება, აფთიაქიდან კი, სანამ კვერცხს არ მივუტან ისე — არ იძლევიან წამალს...

ყიყლიყო.



სად გინახავთ ასეთი
კინო-მეხანიკები:
ქეიფობენ ათასნაირ
ფანდითა და ხრიკებით.
მოძრავ კინოს ეტლზე დგამენ
და დინამოს ტრიალით
მას შარაზე აჭენებენ
ლოთი-ფოთურ ღრიალით.
ცხენს შუბლზე აქვს სანათური,
ერთიც კუდთან უნთია
და დამფრთხალი სადღაც გარბი!
გონია—თუ ბუნტია.
და ასე დროს ატარებენ,
ღვინოს სვამენ ღვინოზე...
ნუ თუ არვინ არ ფიქრობს,
გურჯაანის კინოზე...

## ყურმოკრული

—საიდან მოდიხარ, ნესტორ?

— იქინე ვიყავ, თერჯოლაში, პაწიე საქმე მქონდა. მარა, რომ არ ვყოფილიყავი ქი ჯობდა, იმას მაინც არ გევიგებდი, რაიც კომკავშირელმა მაკარიძემ თქვა.

— რაო?

— რაი და, ბოშო, კულაკს მოუმართოთ ხელი და მერე გადავახდევინოთ გადასახადიო, აგი რაია, იგი არაა რაცხა მარჯვენით გადაქანჯალება?

— მერე და მათი რა გიკვირს? იქინე რომ არ წახვიდე მაგის გასაგებად, აქანე მუხურაში ცოტანი არიან იმნაირები? თუნდაც აგერ შენი სეხნია — თავმჯდომარე და პარტკანდიდატი ნესტორ ქურციკიძე, რომელიც ჯერაც არ არის კოლექტივში შესული! აგი მარჯვნივ გადახრა კი არა, ვგონებ ვუმფრო მეტია კიდონ რაცხა.

— მერე და რაი მოუხდება ასეთებს?

—რაი და, ქონიან ნიჩაბზე დადება და...

— მერე, მერე!

— მერე და... სასუქად მაინც გამოდგება ნახნავში!.. პარტიიდან ქე მაინც მოვიშორებდით შემარცხვენელს...

ყიყლიო.

## სანიმუშო წრე

კურზუს თემის საჩვენებელ ქოხ - სამკითხველოში უკვე ქვსი თვეა გავუკმე ყველა წრეები და ახალგაზრდობის ჩასაშლელად მუშაობაში, დავარსე მხოლოდ ერთი წრე, სადაც, გასუწყვეტლივ სწარმოებს ასეთი ვარული წრეები მიზერ - მოწერა და ცეკვა ქაროულ - ევროპიული. წრეს აქვს მუსიკალური განხრა. თვითეულ მოამზადეს ეველინა თავის გულის ტოლს გიტარაზე სასიმღერ რამ უმღეროს.

ასე მუშაობს ყოველ დღე დილიდან საღამომდე. წრის მეცადინეობის დროს ქოხსამკითხველოში გლეხობის შესვლა აკრძალულია.

პ. ტ. ქოხ - სამკითხველოს გამგე.

## დავალება

სოფელ ზ. ნაგვაზოვის 4 წლედის მოწაფეებს ევალებათ: თვითეულმა მათგანმა სკოლაში მოიტანონ თითო გირვანქა ლურსმანი, თითო იატაკის ფიცარი, სამ - სამი კრამიტი და თითო ფანჯრის მინა.

გარდა ამისა, თვითეულმა მასწავლებელმა უნდა მოიტანოს თითო რკინის ფეჩი, —მოწაფეებმა კი ყოველ შემთხვევისათვის თან იქონიონ საბნები. გადარჩენილი მასალა გადირიცხება ნაგვაზოვის სასოფლო საბჭოს დამკრძალავ კომისიის განკარგულებაში.

ამხანაგური სალამით ზ. ნაგვაზოვის

ოთხწლედის გამგე.

## იაფად

ს. ლესა - ჭინათის არტელის წევრებისათვის დასარიგებლად მივიღე 90 წყვილი წუღა, მაშინ — როდესაც საჭირო იყო ათი ამდენი. ამიტომ პირველი პარტია ავიღე ჩემი საჭიროებისათვის.

წუღები მაქვს ყველა ზომისა. ვურიგებ ნაცნობ - მეგობრებს იაფად და პირიანად. უპირატესობას ვაძლევ ნათესავებს.

კოლექტივის მოლარე კოსტა გოგიჩაიშვილი თავს ნუ შეიწუხებს, რადგან მას ფეხსამოსის მაგიერ, ჩამოვწერე შემოფლანგული 104 მანეთი.

არტელის გამგეობის თავმჯდომარე: (გვარი გაურკვეველია).

# ტელეფონით ცა-გერთან

რამდენს ვწვალობდი და ვიტანჯებოდი ამ ოხერ ტელეფონით ლაპარაკის დროს! მთელი საათი მჭირდებოდა, ვიდრე დანიშნულ ადგილს შემიერთებდენ... ეხლა კი ვისწავლე ხერხი..

თურმე ამ სადგურში სულ გასათხოვარი ქალების სამეფოა, რომელთა წლოვანება 32 წლიდან 40 წელს უახლოვდება. საკმარისია ოდნავ ალერსიანად წაუარშიყო ტელეფონში და მყისვე შეგიერთებს ვისაც კი მოისურვებთ.

აი ასე: წკრრრ.. რაწკრრრ.. ბარიშნა შენ გენაცვალე მაგ სირინოზის ხმაში, ერთი ცაგერს შემიერთეთ როგორმე.

რაო?! (ეტყობა კიდევ უნდა რამე საალერსო ქათინაური ვესროლო)... გენაცვალე მაგ ვარდივით გაშლილ ტუჩებში (ეს ხომ ნაღდია — უსათუოდ შეღებილი ექნება) ცაგერს შემიერთეთ როგორმე, საჩქარო საქმე მაქვს..

მადლობთ, მადლობთ მშვენიერო სირინოზო!..

ცაგერია?? ამხანაგო შემიერთეთ სოფელ მთაბორს. აააა! პავლე სადილიანი ბრძანდებით? სასიამოვნო, ფრიად სასიამოვნო ამხანაგო. ვვარი ჩინებული გაქვთ. ან რატომ არ იქნებით სადილიანი, როდესაც ლაილაშის საბჭოს თავმჯდომარეობის დროს არტელის მთელი თანხები გაიმასქნეთ, რისთვისაც მშვიდობიანად მოგხსნეს თქვენი თანამდებობიდან.

ჩემო პავლე მე თქვენი მოხერხება მაკვირვებს. ამ ამბის შემდეგ როგორ მოახერხეთ პარტიაში დარჩენა, მიუხედავად გამწმენდი კომისიის სისასტიკისა?!

რაო? არ ისმის კარგად! როგორ ეს კიდევ არაფერი? კიდევ მეტი გმირობა ჩაიდინეთ? როდის? ეხლა 21 ოქტომბერს?

რატომ კაცო, ასე მწვავედ რატომ ილაშქრებთ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ! პარტიულ კაცს, ხომ იცი, ამისათვის მაგრა მოგცხებენ...

აქაც მოაღწია მაგ ამბავმა: არტელის გამგეობის სხდომაზე რომ შევარდი გალეშილი და მუქარით დაიფრინე ღარიბი გლეხები, რომელთაც არტელში შესვლის განცხადებები შექონდათ...

ამხანაგო პავლე, მე მაინც ვერ გამიგია, რატომ ჩაშალე ის სხდომა! რამდენს გიხვეწებოდენ თურმე, რამდენი გთხოვეს... შენ კი მუქარით იძახდი: — უჯრედიც, რაიკომიც ფეხებზე მკიდიაო..

საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ტალღა შენთვის მაინც ხელსაყრელი არაა. კოლექტივში, რომ შეხვიდე — ამდენი ცხოვრება ხომ ხელიდან წაგივა ერთიანად?!

ამხ. სადილიანო, არ ვიცი ამ ამბავს როგორ გადაურჩები!.. ძალიან მეეჭვება — კაი სადილიც რომ გამართო, რამე გიშველოს... უკეთესია პარტბილეთი შენი ხელით გადაუგზავნე რაიკომს და „დალიე-დამალევინეს“ პარტიაში შეუდგე მოღვაწეობას...

შენი ძმა ტიკსუსუნე.

# ზღაპარი თუ სინამდვილე



— იყო და არა იყო რა! იყო ერთი კაცი, ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ორი ჭკვიანი—ერთი უხეირო და უჭკვო...

— ვიცი ბები, ვიცი! ეგ მესამე—აბაშის რაიონის სოფელ ცილორის სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის თავმჯდომარეთაა!

# ჩოგანმო

„ჩოგანმო“ შემოკლებულ სიტყვების კონაა და უბრალოთ რომ ვთქვათ ნიშნავს ჩოლურის რაიონის განათლების მოღვაწეებს..

კოპწიათ მოკაზმულ კაბინეთში რამდენიმე ინტელიგენტს მოუყრიათ თავი და მწვავედ კამათობენ:

— რის საყოველთაო სწავლება, რის ფლავი!

—სავალდებულო რა ოხრობაა მიქვია, ვისაც უნდა მან ივალდებულოს ბატონო, მე თავი გამანებონ!

— ჯერ ბარელი გლეხები ხომ ხეპრეები არიან, და ახლა ამ მთიან ადგილას მომინდომეს ხალხის გამეცნიერება!

— წადი სადღაც მივარდნილ ჯანდაბაში და ქალაქის კეთილ ცხოვრებას ჩვეულმა კაცმა ამ უმეცარ ხალხს შეალიე ჯანი და ღონე!

ასე იკამათეს, იმსჯელეს და ბოლოს ერთხმად რეზოლიაცია მიიღეს:

„მთიან რაიონებში არაა საჭირო საყოველთაო-სავალდებულო სწავლა“...

რეზოლიუციას ბეჭედი დაასვეს, შემდეგ ქვეშ ამოიდეს და ტკბილად დაიძინეს...

მართალიცაა, სწავლა მაინც და მაინც დიდ სიკეთეს როდი ნიშნავს თუ კაცს ცოტაოდენი ჭკუაც არ აქვს..

აი მაგალითად ჩოლურელი მოღვაწეები, ხომ ნასწავლი ხალხია?!

ნახავთ თუ მათ ეს სწავლულობა ძვირად არ დაუჯდეთ!

პანღურიანი.

# სასწრაფო ბარათი

მუხურის კომუჯრედს

ეხლა შევიტყე. უჯრედის მდივნად ამხ. კირკიტაძე ყოფილა. გვარი ჩინებული აქვს, საქმეზე ეხლა მოგელაპარაკებით...

შემთხვევით გეახელით მუხურში, ქორწილში ვიყავი დაპატიჟებული ბოჭორიშვილთან. სახელს თქვენ თვითონ მიხვდებით.

იმ დღეს სუფრაზე ვინ არ ვნახე, ვის არ ვესაუბრე, რა ამბები არ შევიტყე... დიდებული ტოლუმბაში ყოფილა ჩვენი ნესტორა,—საბჭოს თავმჯდომარე — ქურციკიძეზე მოგახსენებთ, ხალხში დიდი სახელი ჰქონია მოხვეჭილი. მე მას, მართალი გითხრათ, არ ვიცნობდი. პირველი რეჩი— კოლექტივიზაციის სადღეგრძელოს უძღვნა და ყანწი ძირამდი გამოსცალა.

გავიფიქრე, ალბად მთელი აქ დამსწრე ხალხი კოლექტივის წევრები არიან მეთქი. მით უმეტეს უმრავლესობა პარტიული ამხანაგები იყვნენ.

ერთ მხარეს სემლა ბარბაქაძე მეჯდა, მეორე მხარეს ქეტია ბუაძე. ჩემს პირდაპირ კი კომკავშირელი ვანიჩკა ბოჭორიშვილი და გიორგი ბარბაქაძე ისხდენ... აქვე იყვნენ პარტიის წევრები ვლადიმერ ჯიხუაშვილი და კარპო ბოჭორიშვილი. ბევრი რომ არ გავაგრძელო მთელი უჯრედის შემადგენლობა იქ იყო. აკლდა მხოლოდ ამხ. კირკიტაძე, როგორც შემდეგ შევიტყე, მისი მოუსვლელობის მიზეზი იყო — კოოპერატივში სამრეწველო საქონლის განაწილება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. კირკიტაძეს თავის სახლში გადაეტანა...

დიახ, ამ სადღეგრძელომ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. გაისმა ვაშას ძახილი და რამდენიმე ყანწი ერთბაშად გამოიცალა.

ცხადია, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. — მუხურში უკვე დაწყებულა საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ტალღა, რომელიც ალბად მთელ მშრომელ გლეხობას გაიყოლიებს! — გავიფიქრე მე და საერთო მრავალჟამიერს ბანი მივეცი.

— უკაცრავად ამხანაგებო და, — სადღეგრძელოს მაგარს რომ ამბობთ, აბა რომელი თქვენგანი აქ მყოფი არის კოლექტივის წევრი?! — ერთმა შეზარხოშებულმა ამხანაგმა მიაძახა ტოლუმბაშს.

— რაიო??! როგორ თუ ვინ არის? ამას შენ ვინ გკითხავს შე ლაწირაკო შენ?? — იყვირა ტოლუმბაშმა და ფიშტოზე იკრა ხელი... შეიქნა ალიაქოთი. წივილკივილი. ბოთლების, ჭიქების ერთი-მეორეში ტრიალი...

დიდი ვაჟკაცობა გამოვიჩინე,— მაგიდის ქვეშ ვტკუცე თავი და ძლივს გამოვძვერ ოთახიდან..,

ნეფე-პატარძალიც სადღაც მიიმალენ...

შაიდა მალადეეც! ძაან ბიჭები ყოფილან თქვენს უჯრედში! კარგმა ხელმძღვანელობამ — ახო ჩცის, მაშ!

წიწაკა.

# სამართლიანი მოთხოვნილება

ზოგიერთი დაწესებულებების დადგენილებით მეღორეებს აუკრძალეს ღორის ნახირის შეშვება ტყეებში—რკოზე და წიფელაზე (წიწიბოზე). ეს გარემოება მეღორეობას განადგურებით ემუქრება. (გაზეთებიდან).




ღორების წარმომადგენელი.—პირველი აპრილი ხომ არ არის, რომ ამდენს გვატყუებთ? რაზე გვხოცავთ სიმშილით!

მეზობელი. ძმობილო, რა გატირებს, რა უბედურება შეგემთხვათ?

გლეხი. (ტირილით ეთხოვება ცოლშვილს) — მშვიდობით ცოლო და შვილებო... დუშეთის აფთიაქში მივდივარ წამლის მისაღებად და წელს ხომ ვეღარ მოვასწრებ სახლში დაბრუნებას!...

## ვინ რას მღერის

ჯაგან-ჭუჭუშურში
ლადო კოპალაძე თუ ვარ,
ჩემსკენ გადვიბირებ გლეხებს;
არტელების დაშლა მინდა,—
თუ მოტყუვდენ — ამ ჩემ ფეხებს!
ხორითში
იაგორა ვარ ლონლაძე,
არ გეგონოთ პიონერი.
მოტყუებით შევიქენი
საბჭოთა პენსიონერი!
საცხენისში.
გუგუნაშვილი გახლავართ,
პარტიაში შეველ ტივით.
როგორც თათარს ღორის ხორცით
მეჯავრება კოლექტივი..
ქვემო ქვიტირში.
ყუბანეიშვილს — არტელში
ვინ წამართმევს მსუქან ნაჭრებს?
ჩემს ნებაზე, ჩემს არტელში,
ძმურად ვკოცნი პირზე ვაჭრებს...

ამბა.

## ახალდაბა

ვინ არ იცნობს სატყეოში
საშა ქურდაძესა,
მე ფხიზელი არ მინახავს
იგი არც ერთ დღესა...
თავის დროზე არ იბარებს
ჩამოტანილ ხესა,
გალეშილი ავარჯიშებს
ხშირად, ძმაო, ხელსა.
სატყეოში როცა უნდა
მაშინ შედგამს ფეხსა,
ბედი წყალობს ჩვენ საშიკოს,
ვინ რას კითხავს გლეხსა!
ბორჯომშიაც ხშირად დადის
ღვინით ილბობს ყელსა,
შოლტიანო, ხომ აუთრევ
ამ გმირს შოლტით წელსა?!

ახალდაბელი.

## ჩვენი ფოსტა

ელდას: იწურებთ რომ:— სოფელ გეჯეთში აირჩიეთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დამხმარე კომისია, რომელიც არაფერს აკეთებს და გვეკითხებით, როგორ მოვიქცეთო.

ასეთ შეკითხვაზე პასუხს იძლევა დამკრძალავი ბიურო. მიმართეთ მას.

ქაჯს. მოგვყავს თქვენი ლექსის ეს ადგილი:

ჯუგაანის სამკითხველო
გადიქცა ტრფობის ბუდეთ.
ხან კრივია გამართული.
ხან ხვევნა და მტლაშამტლუში.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ლექსის, თითქმის ერთი სტრიქონი შოთა რუსთაველისაგან მოგვიპარავთ, მთლად იგი ერთ ხურმად არა ღირს. რაც შეეხება თქვენს სამკითხველოს გამგეს, მისთვის უკეთესი ლექსის დაწერა, მართლაც არაში იქნებოდა...

ჯამბაზს. თქვენი გამოგზავნილი ლექსი მართლა საუცხოოა, დავბეჭდავდით კიდეც, აკაკი წერეთლის თხზულებათა პირველ ტომში რომ არ იყოს შეტანილი.

წიქარას. გვწერთ:

ნახეთ ჩვენი ვასო,
კოოპერატივს ხვამ
რომ შეხედოთ,
იორკშირის
ჯიშიან ღორს
გავსო...

თქვენს კოოპერატივს საყვედური არ ეთქმის, რაკი ჯიშიანი საქონლის მოშენებას შესდგომია.

## კურსები

სოფელ დიდ ჯიხაიშში მოვაწყეთ მუშტი - კრივის კურსები, სადაც მსურველებს და არამსურველებს ერთნაირათ ვუზელავთ გვერდებს. კურსებზე პირველ რიგში მიიღებიან მილიციის თანამშრომლები, რომლებიც აქამდე არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენს ფიზკულტურულ მოღვაწეობას.

ჯგუფის დავალებით
აბზიანიძე და მოსეშვილი.

## სახერხი ქარხანა

თიანეთი

როდესაც დღე მიილევა
და უკუნი ღამე დგება,
ელექტრონი არ გვინათებს.
მზის ჩასვლასთან—ისიც ქრება.
ამ დროს ჩვენი ქარხნის გამგე
თავისუფლად დანავარდობს.
სოფელში თუ ბნელში არის
ის ამაზე არა დარდობს.
ბუღალტერიც არას ნაღვლობს,
კარაქზე სცვლის მხოლოდ ფიცარს.
მას კარაქი ისე უყვარს
თუნდა მაჭმადს დაიფიცავს.
ასეთია ჩვენი საქმე,
დაბრძანდება გამგე ბოლთით.
რა კარგია ერთი ამას
რომ ასწევავდეთ გავას შოლტით!

ტალღა.

## წალვერში

გამგეობის თავმჯდომარედ
ისაკ ახალაძეა,
ის არაფერს არ აკეთებს
და ნადირობს ქალზეა.
მუშკოოპში საქმარიას
არსად არაფერია,
მოიკითხეთ აქ მხოლოდ
პუდრი-მუდრი, ფერია.
ახალაძე გარედანაც,
შიგნიდანაც ჭრელია.
წინათ იყო ხოვდაგარი,
ეხლა პარტიელია.
მასთან დალაპარაკებას
გლეხები ვერ ბედავენ,
ყოველივე ამასა
უჯრედშიაც ხედავენ,
მაგრამ ხმას ვერ სძრავენ,
ისინიც ვერ ბედავენ..

ტიმბნელი.

# ესაც „დამკვრელი ბრიგადაა"

